17/06/2024

დასრულდა სასულიერო პირთა გადამზადების მეოთხე ეტაპი ღირებულებითი განათლების პროგრამაში

დღეს, 2024 წლის 14 ივნისს დასრულდა სასულიერო პირთა გადამზადების მეოთხე ეტაპი ღირებულებითი განათლების პროგრამაში, რომელსაც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და განათლების სამინისტრო ერთობლივად ახორციელებენ.

აღნიშნული პროექტის მონაწილე სასულიერო პირებმა გაიარეს შესაბამისი ტესტირება, რომელსაც ესწრებოდნენ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, დეკანოზი გურამ ჭარელაშვილი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამის მენეჯერი, ანი კუდუხაშვილი.

ფოტო: ნინო სოზაშვილი

sazu.ge